ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8111631

ნომერი: AR11163210

თარიღი : 30.09.2026

გაცემის თარიღი : 07.10.2026

გაცნობის თარიღი : 07.10.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N70 / პეკინის გამზირი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფოფხაძე პ/ნ 01008026643
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 41 ბ. 38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :

საპროექტო ფართის წილობრივი კოდი მონიშნულ იქნეს რუკაზე და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართის ამონაწერი. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ დადგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება და სხვა შესაძლო თანხმობების წარმოდგენის საჭიროება. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ,მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით;

წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა. წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის თანხმობა. საჭიროა იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.